ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №209651

ნომერი: AR155974

თარიღი : 04.06.2012

გაცემის თარიღი : 11.06.2012

გაცნობის თარიღი : 14.06.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვახუშტის სახელობის ხიდიდან სააკაძის მოედნისაკენ მიმავალ გზაზე, (ნაკვეთი N16/77) /
ქალაქი თბილისი , ვახუშტის სახელობის ხიდიდან სააკაძის მოედნისაკენ მიმავალ გზაზე, (ნაკვეთი N16/78) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ბარნაბიშვილი პ/ნ 01019016962
- თბილისი ნაგომარის ქ. N 51 ბ. 2

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. "კრონა" კოდი: 205281014

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: ვინაიდან სარეკონსტრუქციო შენობა–ნაგებობა მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა–ნაგებობებსა და მათზე არსებულ თითოეულ დეტალებს, გაცნობებთ, რომ შესამცირებელია სარეკლამო აბრის გაბარიტული ზომა, სარეკლამო წარწერები მიუსადაგეთ გვერზე არსებული ფართის ფასადზე წითელი სარეკლამო წარწერების გაბარიტულ ზომებს, რომლის თანახმად უნდა წარმოადგინოთ განახლებული ფოტომონტაჟი (გაითვალისწინეთ, რომ ფოტომონტაჟზე არ უნდა იყოს ფონად გამოტანილი სარეკლამო აბრის ზომები და მასალა, აღნიშნული იწვევს გაურკვევლობას), სარეკლამო აბრის ზომები და მასალა მითითებული იქნას ცალკე PDF ფაილში (ამ ეტაპზე წარმოდგენილის მსგავსად). ამასთანავე გაცნობებთ:

1. არქიტექტურის სამსახურში შემოსულ სარეკლამო აბრაზე წარწერა უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტირებულ) ფორმას. ორენოვანი მანათობელი წარწერის შემთხვევაში კი ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული.
2. ვინაიდან სარეკონსტრუქციო სამუშაოებით დაინტერესებულია შ.პ.ს. "პანორამა", "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულების" გრაფაში უნდა ატვირთოთ შ.პ.ს. "პანორამა"-ს დირექტორის, ვახტანგ კალაძის მინდობილობა ან ახალი განცხადებით უნდა მოგვმართოს უშუალოდ აღნიშნულმა პირმა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.